ბიჭი ქრისტესთან ნაძვის ხეზე

მთარგმნელი წერეთელი ფატმან

I

ბიჭი `პატარა ხელით~

ბავშვები უცნაური ხალხია.

ისინი მუდამ მესიზმრებიან და მელანდებიან. საშობაო ნაძვის ხის მორთვამდე, შობის დღესასწაულის დადგომამდე ნაცნობი ქუჩის კუთხეში მუდამ ვხვდებოდი შვიდიოდე წლის ბიჭუნას. საშინელ ყინვაში მას თითქმის საზაფხულოდ ეცვა, მხოლოდ კისერზე მოეხვია რაღაც ძველმანი, ნიშანი იმისა, რომ გამოშვებამდე მასზე ვიღაცამ იზრუნა. ბიჭი დადიოდა `პატარა ხელით~. ეს მახასიათებელი ტერმინი, რომელიც მოწყალების თხოვნას ნიშნავს, თვით მაწანწალა ბავშვებმა მოიგონეს. ქუჩაში ამ ბიჭის მსგავსს ბევრს წააწყდებით, ისინი თქვენს ირგვლივაც დაძრწიან და რაღაც გაზეპირებულ სიტყვებს გაიძახიან. თუმცა ეს ბიჭი ყველასგან განსხვავდებოდა, ლაპარაკით არავის აწუხებდა, მისი ყოველი სიტყვა უმანკოდ და უჩვეოლოდ ჟღერდა, თან ნდობით სავსე თვალებით შემომცქეროდა.

შესაძლოა პროფესიას ის-ის იყო ითვისებდა. როცა მის შესახებ ვკითხე, მიპასუხა, რომ უმუშევარი და ავადმყოფი და ჰყავდა. იქნებ ასეც იყო, მაგრამ მოგვიანებით შევიტყვე, რომ უამრავი ასეთი ბიჭი დაიარება. მათ აუტანელ ყინვაშიც კი `პატარა ხელით~ ქუჩაში აგდებენ და თუ ვერაფერს შეუგროვებენ, დაბრუნებულს სასტიკად სცემენ. ბიჭი ნამათხოვრები კაპიკებითა და ყინვისაგან აწითლებული ხელებით რომელიღაც სარდაფში ბრუნდება, სადაც თავზეხელაღებულთა ბრბო ლოთობს. ეს ის ხალხია, რომელიც შაბათს, კვირადღის წინ გაფიცვას აწყობს, სამუშაოზე კი ოთხშაბათ საღამომდე აღარ ბრუნდება. მათთან ერთად მათი მშიერი, ნაცემი ცოლები ლოთობენ, იქვე შიმშილით დაოსებული ჩვილები ტირიან.

არაყი, სიბინძურე, გარყვნილება _ უმთავარესი მაინც არაყია იქ. ამგვარია მათი ცხოვრების წესი. ბიჭუნას დაბრუნებისთანავე თავისი შეგროვებული კაპიკებით ღვინის მოსატანად დუქანში აგზავნიან. ზოგჯერ კი თავზეხელაღებულები მასაც არაყს ასხამენ პირში და იმით ერთობიან, რომ სუნთქვაშეკრული ბავშვი იატაკზე თითქმის უგონოდ ეცემა...

` და შემდეგ ვიღაც ძალდატანებით

პირში საზიზღარ არაყს ასხამდა...~

ეს ხალხი უკვე წამოზრდილ ბიჭს სამუშაოდ რომელიმე ფაბრიკაში სასწრაფოდ ამწესებს. ყველაფერი, რასაც გამოიმუშავებს, მან ისევ ამ თავზეხელაღებულებს უნდა მიუტანოს, რომლებიც ამ ფულსაც უდარდელად დაამღერებენ. ჯერ კიდევ ფაბრიკაში მუშაობის დაწყებამდე ეს ბავშვები ნამდვილ დამნაშავეებად ყალიბდებიან. ისინი ქალაქში დაეხეტებიან და სხვადასხვა ფარდულებში ისეთ ადგილებს ეძებენ, სადაც შეძვრომა და ღამის შეუმჩნევლად გათევა შეიძლება.

ამათგან ერთ-ერთს ერთ მეეზოვესთან კალათში რამდენიმე ღამე გაუთენებია, ხოლო პატრონს ვერც კი შეუნიშნავს იგი. ბუნებრივია, რომ ასეთი ცხოვრება მათ პატარა ქურდ-ბაცაცებად აყალიბებს, უკვე რვა წლის ბავშვებს ქურდობა მოთხოვნილებად ექცევათ. ხშირად თავისი საქციელს დანაშაულად ვერც აღიქვავენ. ბოლოს კი ყველაფერს იტანენ _ შიმშილს, სიცივეს, ცემას, _ მხოლოდ ერთისთვის, თავისუფლებისთვის, იმისთვის რომ თავი დააღწიონ თავზეხელარებულთა ხროვას და მათხოვრობა დამოუკიდებლად დაიწყონ. ამ ველურმა არსებებმა ხშირად არაფერი იციან _ არც ის თუ სად ცხოვრობენ, რა ეროვნების არიან, არსებობს თუ არა ღმერთი, ან ვინაა ხელმწიფე. ყოველივე ამის შესახებ ხშირად ისეთ ამბებსაც ჰყვებიან, რომ თმები ყალყზე დაუდგება კაცს.

II

ბიჭი ქრისტესთან ნაძვის ხეზე

მე რომანისტი ვარ და მგონია, რომ ერთი `ისტორია~ თვითონ გამოვიგონე. არ ვიცი, როტომ ვწერ, რომ მგონია, მე ხომ დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ამბავი მოვიგონე, მაგრამ მეჩვენება, რომ ეს სადღაც, ოდესღაც ნამდვილად მოხდა, სწორედ შობის წინა დღეს, რომელიღაც დიდ ქალაქში საშინელი ყინვის დროს.
მეჩვენება, რომ სარდაფში ჯერ კიდევ ძალიან პატარა, ალბათ ექვსიოდე წლის ბიჭი იყო.

მან დილას ნესტიან, ცივ კუთხეში გაიღვიძა. ის ძველ ხალათში გახვეულიყო, სიცივისგან თრთოდა, ყოველი ამოსუნთქვისას პირიდან ორთქლი თეთრად ამოდიოდა. კუთხეში სკივრზე მიყუჟულიყო და მოწყენილი პირიდან ორთქლის გამოშვებით ერთობოდა. საშინლად შიოდა. რაც გაიღვიძა, უკვე რამდენჯერმე მიუახლოვდა ფარდაგს, სადაც ბლინივით თხელ საგებელზე მისი დედა იწვა,

ავადმყოფს თავქვეშ ბალიშის ნაცვლად რაღაც ბოხჩა ამოედო. ნეტავ აქ როგორ აღმოჩნდა? როგორც ჩანს თავის პატარა ბიჭუნასთან ერთად სხვა ქალაქიდან ჩამოვიდა და უეცრად ავად გახდა. კუთხეების დიასახლისი ორი დღის წინ დააპატიმრეს.

მდგმურები გაიფანტნენ და შობას ზეიმობდნენ. მხოლოდ ერთ მთვრალ თავზეხელაღებულს, რომელსაც დღესასწაულისთვის ვერ დაეცადა, ეძინა მთელი დღე-ღამის მანძილზე. ოთახის მეორე კუთხეში 80 წლის მოხუცი, რევმატიზმებით დაავადებული ქალი კვნესოდა. მას მთელი ცხოვრება ძიძად მუშაობაში გაეტარებინა, ახლა კი უპატრონოდ კვდებოდა. კვნესოდა და ბიჭს ებუზღუნებოდა, რომელსაც მოხუცის კუთხისკენ გახედვისაც ეშინოდა. პატარამ სხვენში არაყი იპოვა, მაგრამ პურის ნატეხსაც ვერ მიაგნო და უკვე მეათედ მიუახლოვდა დედას გასაღვიძებლად. სიბნელეში პატარა რაღაც იდუმელმა შიშმა შეიპყრო.

რა ხანია დაბნელებულიყო, ცეცხლს კი არ ანთებდნენ. ბიჭუნა დედის სახეს შეეხო, გაოცდა _ დედა კედელივით ცივი გამხდარიყო. `აქ ძალიან ცივა,~ _ გაიფიქრა ბიჭმა და გაშეშებულს ხელი მიცვალებულის მხარზე შერჩა, შემდეგ გაყინული თითები პირთან მიიტანა გასათბობად, ფარდაგზე ხელის ცეცებით თავისი ქუდი იპოვა და სარდაფიდან უხმაუროდ გავიდა. უფრო ადრეც წავიდოდა, მაგრამ დიდი ძაღლის ეშინოდა, რომელიც მთელი დღე მეზობლის კართან ყმუოდა, მაგრამ ის იქ უკვე აღარ იყო და ბიჭუნა დაუბრკოლებლად გავიდა ქუჩაში.
ღმერთო, რა ქალაქია! მას ამგვარი ჯერ არაფერი ენახა. იქ, საიდანაც ის ჩამოვიდა, ღამღამობით უკუნი წყვდიადი სუფევდა და მთელ ქუჩას ერთადერთი მაშუქა ანათებდა. ოდნავ ჩანობნელდებოდა თუ არა, ხის დაბალ ქოხებში დარაბებს ჩარაზავდნენ და ქუჩაში კაცი არ გაჭაჭანდებოდა, ყველა სახლში შეიკეტებოდა, ღამის სიმყუდროვეს მხოლოდ ათასობით ძაღლის ყეფა არღვევდა. მაგრამ იქ თბილოდა, მას აჭმევდნენ, ხოლო აქ ისე შია _ ღმერთო, ნეტავ რამე აჭამონ! როგორი ხმაურია, როგორი სინათლეა, როგორი ხალხი, როგორი ცხენები და ეტლებია, და როგორ ყინავს, როგორ!
ილაჯგაწყვეტილ ცხენებს ცხელი ღვართქაფი ჩამოსდიოდათ.

ფხვიერ თოვლში ქვაფენილზე ნალების წკარუნი ისმოდა. ყველა ჩქარობდა, ერთმანეთს ხელს კრავდნენ, ბიჭუნას კი ისე შიოდა, ძალიან, ძალიან შიოდა, ნეტავ ერთ ლუკმას მაინც შეაჭმევდეს ვინმე! სიცივისაგან თითები გაეთოშა, ტკივილისაგან მოხრა უჭირდა. იქვე, ცხვირწინ ბიჭუნა სამართალდამცველმა შენიშნა, მაგრამ თვალი აარიდა, თითქოს ვერც შეემჩნია.
და აი, ისევ ქუჩა _ ფართო, ძალიან ფართო! აქ ალბათ შეუმჩნევლად გაგსრესენ.

ხალხი ყვირის, მიდი-მოდის, გარშემო ყველაფერი გაჩირაღდნებულია. ეს კი რაა? უზარმაზარი მინა, მის მიღმა კი ჭერამდე აწვდილი ნაძვის ხე უთვალავი სანთლით, ოქროსფერი ქაღალდებით და ვაშლებით მოერთოთ. გარშემო თოჯინები და პატარა სათამაშო ცხენები შემოუწყოთ. ლამაზ და სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვები ოთახში მხიარულად დარბოდნენ, იცინოდნენ, თამაშობოდნენ, ტკბილეულს მიირთმევოდნენ.

ერთი გოგონა კი ბიჭს ეცეკვებოდა, ისეთი ლამაზი, საყვარელი გოგონა! მინის მიღმა მუსიკა უკრავდა. ამ ყველაფერს ბიჭუნა გაოცებული შესცქეროდა, ეცინებოდა, მაგრამ ხელები საშინლად გაწითლებოდა, სიცივისაგან ფეხის თითებიც ასტკივებოდა, ვეღარც ხრიდა... უცებ აშინლად ეტკინა, ატირდა და გაიქცა, მაგრამ ისევ საოცარი სანახაობა _ ისევ მინა, ოღონდ სხვა სახლის, ოთახში მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხე, გაშლილ მაგიდებზე ყველანაირი ნამცხვარი იდო: ნუშის, წითელი, ყვითელი... იქვე ოთხი მდიდარი ქალბატონი მათთან მისულებს ნამცხვრებით უმასპინძლებოდა. კარი ყოველ წუთას იღებოდა და სახლში უამრავი ბატონი შედიოდა. ბიჭუნა მიიპარა, კარი უცებ შეაღო და ოთახში შევიდა. ისე დაუყვირეს, ხელი მოუქნიეს! ერთი ქალბატონი ბიჭუნას უცებ მიუახლოვდა, ხელში კაპიკიანი ჩაუდო და ქუჩაში გასასვლელი კარი გაუღო.

პატარას ძალიან შეეშინდა, კაპიკიანი გაყინული ხელიდან გაუვარდა და კიბის საფეხურზე წკრიალით დაეცა. შეშინებული ბიჭუნა გამოიქცა, ეტირებოდა, უკანმოუხედავად მირბოდა, თან გაყინული თითები გასათბობად პირთან მიჰქონდა. უეცრად საშინელი სიმარტოვე და შიში იგრძნო, სევდა შემოაწვა, მაგრამ ღმერთო დიდებულო, ეს რაა? ხალხი იდგა და გაკვირვებული უყურებდა რაღაცას: ფანჯარაში, მინის მიღმა, თითქოს სამი წითელ და მწვანე კაბებში გამოწყობილი თოჯინები გაცოცხლებულიყვნენ! ერთი მოხუცი კაცი ვითომ იჯდა და დიდ ვიოლინოზე უკრავდა, ორნი იქვე იდგნენ, პატარა ვიოლინოებზე უკრავდნენ, თან თავებს რიტმულად აქნევდნენ, ტუჩებს ამოძრავებდნენ და ლაპარაკობდნენ _ მაგრამ მათი საუბარი მინის აქეთ არ ისმოდა. თავიდან ბიჭუნას მარიონეტები ცოცხალი ადამიანები ეგონა, როცა მიხვდა, რომ თოჯინები იყო, გაეცინა. ასეთი თოჯინები არასდროს ენახა. სიცივისაგან ეტირებოდა, მაგრამ ეს ძალიან, ძალიან სასაცილო თოჯინები ართობდნენ. უცებ ბიჭუნას მოეჩვენა, რომ უკნიდან ხალათზე ხელი სტაცეს, გაიხედა: გვერდით დიდი, ბოროტი ბიჭი ედგა.

მან პატარას თავში ხელი წაუთაქა, ქუდი წაართვა და ფეხი გამოსდო. ბიჭუნა დაეცა, ხალხმა შეჰყვირა, გაოგნებული და შეშინებული ბავშვი წამოხტა და უკანმოუხედავად გაიქცა. რომელიღაც ეზოში ჭიშკრის ქვეშიდან შეძვრა, დაჩეხილ შეშასთან ჩამოჯდა

და გაიფიქრა: `აქ ბნელა, ვერ მომაგნებენ.~
ბიჭუნა ჩამოჯდა, მოიკუნტა, შიშისა და სიცივისგან სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ უეცრად, სრულიად მოულოდნელად ტკივილმა გაუარა, გათბა, ისე გათბა, თითქოს ღუმელზე მჯდარიყო, უცებ შეკრთა _ თურმე ჩასძინებოდა. რა კარგი ყოფილა აქ ძილი! `ცოტა ხანს კიდევ ვიჯდები, შემდეგ ისევ თოჯინების სანახავად წავალ,~ _ გადაწყვიტა პატარამ, `ისე ჰგვანან ცოცხლებს~ _ გაიფიქრა და გაეცინა. უცებ დედის სიმღერა ჩაესმა, `დედიკო, მძინავს, რა კარგია აქ ძილი!~
_ ჩემთან ნაძვის ხეზე წამოდი, პატარავ!~ _ ჩასჩურჩულა მშვიდმა ხმამ.
დედის ხმა ეგონა, მაგრამ არა, ეს დედას არ უთქვამს. ნეტავ ვინ დაუძახა? ბიჭმა ვერ დაინახა, თუ ვინ დაიხარა მისკენ, მაგრამ ხელი მაინც გაუწოდა და... უეცრად უჩვეულოდ ნათელ ადგილას აღმოჩნდა.

საოცარი სინათლე იყო, უჩვეულო ნაძვის ხე იდგა, თუმცა არა, ეს ნაძვი არ იყო, მას აქამდე ასეთი ხეები არ ენახა. ნეტავ სად არის? ყველაფერი ბრწყინავს, ბრდღვიალებს, გარშემო თოჯინებია _ არა, ეს თოჯინები კი არა, საოცრად თეთრი გოგო-ბიჭები არიან. ყველა ბიჭუნას გარშემო ტრიალებს, დაფრინავს, მას კოცნიან, ხელში იტაცებენ და თან მიჰყავთ, ახლა თვითონაც დაფრინავს და ხედავს, დედა უყურებს და გახარებული უცინის.
_ დედა, დედიკო, რა კარგია აქ! _ უთხრა დედას, თან ბავშვებს ეფერებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის მოუთხრობდა მათ სასაცილო თოჯინების შესახებ.
_ ბავშვებო ვინ ხართ? საიდან ხართ? _ სიყვარულით ეკითხებოდა ბავშვებს და იცინოდა.
_ ეს `ქრისტეს ნაძვის ხეა~, _ უთხრეს მათ, _ შობას ქრისტე მუდამ დგამს ნაძვის ხეს იმ ბავშვებისთვის, ვისაც დედამიწაზე არ ჰქონდა ის.. ._ ბიჭუნამ შეიტყო, რომ ეს ბიჭები და გოგონები მის მსგავსად ცხოვრობდნენ. მათგან ზოგი თავიანთ კალათებში გაიყინა, როცა პეტერბურგელ მოხელეებს სახლის კართან მიუგდეს, ზოგი უპატრონო ბავშვთა სახლში ცუდი კვების გამო დაიღუპა, სხვებმა დედის გამშრალ ძუძუსთან სამარაში მძვინვარე შიმშილობისას განუტევეს სული, ან მესამე კლასის აყროლებულ ვაგონებში დაიხუთნენ. შემდეგ ყველა იქ მოხდა და ანგელოზებრივ ცხოვრობენ. ყველა იესო ქრისტეს ფრთის ქვეშ არის, მაცხოვარი შუაში დგას, მფარველ ხელს უწვდის მათ და მათ ცოდვილ დედებთან ერთად ლოცავს, რომლებიც მოშორებით დგანან და თავიანთ პირმშოებს თვალცრემლიანები შესცქერიან.

შვილები მათთან მიიფრინედბიან, კოცნიან და პატარა თითებით ცრემლებს წმენდენ, სთხოვენ, რომ არარ იტირონ, _ აქ ისინი ძალიან ბედნიერად ცხოვრობენ.
ეს ხდებოდა საიქიოში. სააქაოში კი, გამთენიისას მეეზოვეებმა იმ ბიჭუნას გაყინული ცხედარი იპოვნეს, რომელმაც ღამით შეშასთან მიირბინა. მოიძიეს მისი დედა, თუმცა

ის ვაჟზე ადრე გარდაცვლილიყო; ისინი ზეცაში, უფალთან შეხვდნენ ერთმანეთს.
და მაინც, რატომ გამოვიგონე ამგვარი ამბავი, რომელიც სულაც არ ჰგავს ჭკვიანურად დაწერილ, ჩვეულებრივ, თანაც მწერლის დღიურს? მე ხომ სინამდვილის ამსახველ მოთხრობებს გპირდებოდით! სწორედ რომ ასეა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მართლაც შეიძლებოდა მომხდარიყო, _ ის, რაც სარდაფსა და დაჩეხილ შეშასთან მოხდა, ხოლო ქრისტეს ნაძვის ხესთან დაკავშირებით არც კი ვიცი რა გითხრათ, შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო?
მაგრამ რომანისტიც ხომ იმისთვის ვარ, რომ გამოვიგონო..